საერთო თემა:
ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე ცვლის კულტურას
ერთი ახალი კაცისათვის

შეტყობინება მესამე

ერთი ახალი კაცის შემადგენელი ელემენტი – ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე, რომელიც ანაცვლებს კულტურას

ადგილები წერილიდან: კოლ. 1:15-18, 27; 2:9-10, 16-18; 3:4, 10-11

I. თუ ჩვენ სიღრმისეულად განვიხილავთ კოლასელთა მიმართ წერილს, დავინახავთ, რომ ამ წიგნში პავლე ლაპარაკობს რაღაც დაფარულზე – ადამიანურ კულტურაზე:

ა. ის, რომ პავლე კოლ. 3:11-ში იყენებს სიტყვა „ბარბაროსს“, არის იმის დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ ამ წერილში საუბარია კულტურაზე.

ბ. კულტურა არის სისტემური მეთოდი, რომელიც ჩვენ გამოვიმუშავეთ ჩვენი არსებობისათვის და ჩვენი არსების შესანარჩუნებლად – დაბ. 4:16-22:

1. კულტურა არის თითოეული ადამიანის გაუცნობიერებელი ცხოვრების წესი – ეფეს. 2:2-3; 4:17.
2. მთელ მსოფლიოში ადამიანები იმყოფებიან თავიანთი კულტურის ზეგავლენის ქვეშ.

გ. კულტურას დიდი ზეგავლენა ჰქონდა მორწმუნეებზე კოლოსში, და ზუსტად ასევე დღეს კულტურას დიდი ზეგავლენა აქვს ჩვენზე – კოლ. 2:8-10, 16-18:

1. ჩვენ გაუცნობიერებლად ვართ იმ კულტურის ზეგავლენის ქვეშ, რომელშიც დავიბადეთ; ამ კულტურის ელემენტები არის ჩვენი არსების ნაწილი – გალ. 4:3, 9; კოლ. 2:8, 20.
2. როდესაც ჩვენ მოვედით ეკლესიურ ცხოვრებაში, ჩვენ მოვიტანეთ ჩვენი კულტურა, და ეს კულტურა ხელს უშლის ჩვენ მიერ ქრისტეთი და ეკლესიური ცხოვრებით ტკბობას.
3. ქრისტე, როგორც ეკლესიური ცხოვრების ერთადერთი ელემენტი, უმეტესწილად ჩანაცვლებულია კულტურით – მუხ. 8; 3:11:
   ა) ქვეცნობიერად და გაუცნობიერებლად ჩვენთვის ყველასთვის ძვირფასია ჩვენი კულტურა და ჩვენ ძალიან ვაფასებთ ჩვენს განსაკუთრებულ კულტურულ მემკვიდრეობას.
   ბ) ეკლესიურ ცხოვრებაში ქრისტეს უმეტესწილად ანაცვლებს კულტურა, და არა რაღაც სხვა – მუხ. 11.

II. კოლასელთა მიმართ წერილში ნაჩვენებია, რომ ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე არის ყველაფერი ღმერთის სახლმშენებლობაში – 1:15-18, 27:

ა. ჩვენ გვჭირდება ნათელი ხედვა იმისა, რომ ეს საოცარი ქრისტე არის ყველაფერი ჩვენთვის.

ბ. ასეთი ხედვა ბოლოს მოუღებს იმ ზეგავლენას, რომელიც კულტურას აქვს ქრისტეს განცდასა და ეკლესიურ ცხოვრებაზე, და ნაცვლად იმისა, რომ ვიყოთ კულტურული ადამიანები, ჩვენ ვიქნებით ადამიანები, რომლებიც დაკავებული, დაპყრობილი და გაუღენთილი არიან ქრისტეთი – 3:11ბ.

III. პირველ ადგილზე მყოფი, ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე არის ჩვენი სიცოცხლე და ერთაერთი შემადგენელი ელემენტი ერთი ახალი კაცისა – მუხ. 4, 10-11:

ა. ეკლესიის, როგორც ერთი ახალი კაცის, შემადგენელი ელემენტი არის ქრისტე და მხოლოდ ქრისტე; ეკლესიის შემადგენლობა სხვა არაფერია, თუ არა ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე – 1:15-18; 2:9-10.

ბ. როგორც ჩვენი სიცოცხლე და ერთი ახალი კაცის შემადგენელი ელემენტი, ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე ანაცვლებს თავისი თავით ჩვენს კულტურას – 3:11.

გ. ქრისტეთი, როგორც ჩვენი წილით, ტკბობის შედეგად, ჩვენ განვიცდით მას, როგორც ერთი ახალი კაცის შემადგენლობასა და შემადგენელ ელემენტს, და საბოლოოდ ქრისტე, რომლითაც ჩვენ ვტკბებით, ხდება ერთი ახალი კაცის შემადგენელი ელემენტი – 1:12; 3:11.

დ. კოლ. 3:11-ის თანახმად, ახალ კაცში ვერ გააგრძელებს არსებობას მრავალფეროვანი კულტურული განსხვავებები:

1. ერთ ახალ კაცში არ არის კულტურული განსხვავებები, ვინაიდან ახალი კაცის ყველა ნაწილი შედგენილია ქრისტესაგან – მუხ. 11.
2. ეკლესიაში, როგორც ახალ კაცში, არ არის ადგილი რეგიონალური, კულტურული ან ნაციონალური განსხვავებებისათვის და არ არის ადგილი არანაირი რასისათვის, ეროვნებისათვის, კულტურისათვის ან სოციალური მდგომარეობისათვის.

ე. ქრისტე არის ახალი კაცის ერთადერთი შემადგენელი ელემენტი, ამიტომ არ უნდა იყოს არანაირი განსხვავება არც იმ მორწმუნეებს შორის, რომლებიც არიან ამ ახალი კაცის ნაწილი, და არც ეკლესიებს შორის – 1 კორ. 4:17; გამოცხ. 1:12, 20; 22:16.

IV. როგორც ახალი კაცის შემადგენელი ელემენტი, ქრისტე არის ყოველივე ყოველივეში; ქრისტე არის ყველა ასო, და ქრისტე არის ყველა ასოში – კოლ. 3:11:

ა. ეკლესიაში, როგორც ახალ კაცში, ქრისტე არის ყველა და ქრისტე ასევე არის ყველაში – 1:27; 3:11.

ბ. ერთი მხრივ, ახალ კაცში არ არის ადგილი ბუნებრივი კაცისათვის, ვინაიდან ქრისტე არის ყველა ასო.

გ. მეორე მხრივ, ის, რომ ქრისტე არის ყველაში, ნიშნავს, რომ ასოები კვლავინდებურად არსებობენ, მაგრამ არა ქრისტეს გარეშე, არამედ როგორც ისინი, ვისშიც მკვიდრობს ქრისტე – 1:27.

დ. როდესაც ჩვენ ვიღებთ ქრისტეს, როგორც ჩვენს სიცოცხლეს და ჩვენს შემადგენლობას, ღრმად ჩვენში ჩვენ ვგრძნობთ, რომ ერთი ვართ ქრისტესთან, და რომ ქრისტე არის ჩვენ, და იმავდროულად ჩვენ უფრო ღრმად ვგრძნობთ, რომ ქრისტე არის ჩვენში – 3:4.

ე. ეკლესიაში, როგორც ახალ კაცში, ქრისტე არის ყველაფერი; ეს გულისხმობს, რომ ყველა მორწმუნე უნდა იყოს შედგენილი ქრისტეთი – 1:15-18; 2:16-17; 3:4, 10-11:

1. ჩვენ უნდა ვიყოთ გამსჭვალული ქრისტეთი, გაჟღენთილი ქრისტეთი, და ქრისტე ორგანულად უნდა ჩაინერგოს ჩვენს არსებაში – გალ. 4:19; ეფეს. 3:17ა.
2. საბოლოოდ ჩვენ ჩანაცვლებული ვიქნებით ქრისტეთი, და მაშინ ქრისტე ნამდვილად იქნება ყოველივე და ყოველივეში; ის იქნება ახალი კაცის ყოველი ნაწილი – კოლ. 3:11ბ.

ვ. ახალი კაცი არის ქრისტე ყველა წმიდანში, რომელიც გვმსჭვალავს ჩვენ და გვანაცვლებს ჩვენ თავისი თავით, ვიდრე არ მოგვშორდება ყველა ბუნებრივი განსხვავება და ვიდრე ყველანი არ ვიქნებით შედგენილი ქრისტეთი – გალ. 4:19; ეფეს. 3:17ა; კოლ. 1:27.

ზ. როდესაც ჩვენ გვექნება ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეს ხედვა ქრისტეს შესაბამის განცდასთან ერთად, ჩვენ შორის პრაქტიკულად გაჩნდება ერთი ახალი კაცი და ჩვენ სინამდვილეში ვიცხოვრებთ ახალ კაცს – 3:10-17; ფილიპ. 10-16.

თ. თუ ქრისტე იქნება ყველა წმიდანის ცხოვრების წესი, ახალ კაცში იქნება მხოლოდ ქრისტე, და ყველა წმიდანი, თავისი ნაციონალურობის მიუხედავად, იცხოვრებს ქრისტეს; მაშინ სინამდვილეში და პრაქტიკულად ქრისტე იქნება ახალი კაცის ყველა ასო – კოლ. 3:11; ფილიპ. 1:21ა.

V. ახალი იერუსალიმი იქნება ერთი ახალი კაცის საბოლოო დასრულება – ეფეს. 2:15-16; 4:24; კოლ. 3:10-11; გამოცხ. 21:2, 9-10:

ა. როდესაც ჩვენ გავხდებით ახალი იერუსალიმი, ჩვენ დავტკბებით სამყაროსეული ერთი ახალი კაცის სიცოცხლით.

ბ. დღეს ჩვენ შეგვიძლია, რომ ვიგემოთ ეს ტკბობა, იმის მეშვეობით, რომ ნება მივცეთ ყოვლისმომცველ, ვრცელ ქრისტეს, რომ ჩაანაცვლოს ჩვენი კულტურა, შეგვადგინოს ჩვენ თავისი თავით და გაგვხადოს ჩვენ ყველანი ერთი ახალი კაცის ნაწილი სინამდვილეში და პრაქტიკულად – კოლ. 1:27; 2:10; 3:4, 10-11.

© 2020 Living Stream Ministry